შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტი“
საქართველო, ფოთი, 4400, რეკვავას 1/1
"BLACK SEA WASTE MANAGEMENT" LTD
1/1 REKVAVA STR. POTI, 4400, GEORGIA
ID 415089291
TEL: (+995) 551 451111; (+995) 577 431638; Email: ops@bswm.ge

ქ.ფოთი 22.08.2019წ.

N53/ს

საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის # 2–508 10.06.2019 წ. ბრძანებით შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტი“–ზე გაიცა ნარჩენების აღდგენის, ნარჩენების განთავსების (ინსინერაცია) და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობის და ექსპლუატაციის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტი“ ახორციელებს სახიფათო ტვირთების გადაზიდვისთვის გამოყენებული პლასტმასის ნარჩენების ინსინერაციას. საუკეთესო გარემოსდაცვითი პრაქტიკის გათვალისწინებით, განზრახული გვაქვს პლასტმასის ნარჩენების ინსინერაციასთან ერთად დავნერგოთ და გამოვიყენოთ ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიაც.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მეხუთე მუხლის მეთორმეტე ნაწილის (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა) საფუძველზე და ამავე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად, შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტი“–ს მიერ პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და მოგმართავთ თხოვნით, კანონით დადგენილ ვადებში განიხილოთ ჩვენი სკრინინგის განცხადება და გვაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილების შესახებ.

დანართები: სკრინინგის განცხადება და ელ-ვერსია (CD)

პატივისცემით,

დირექტორი

ჯანი ქათამაძე